# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 71 | ნიუ-იორკი, ივნისი 1965 წ. | GEORGIAN OPINION | NEW YORK, JUNE 1965

**ნიუ-იორკი, ივნისი 1965 წ.**

განახლებულ საქართველოს შუქურ ვარსკვლავივით დაჰქათქათებს 26 მაისი. დღევანდელი თავშეყრილობის მიზეზიც სწორედ ეს არის.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ 47 წლისთავს იმ დღიდან, როცა 117 წლის შემდეგ ქართველი ერი თავის თავს კვლავ დაეუფლა, თავისი ეროვნული პიროვნება იპოვა და ისტორიულ ტრადიციებს დაუბრუნდა.

26 მაისი საქართველოს ეროვნული დღესასწაული, მისი დამოუკიდებლობის დღეა...

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მხოლოდ 47 წლის ისტორია აქვს, არამედ ჩვენ აღვნიშნავთ იმ დატას. როდესაც მეგობრად და მფარველად მოსულ რუსეთმა ერთი ხელის მოსმით გააუქმა ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობა და თავის გუბერნიად გადაგვაქცია.

26 მაისი 117 წლის მანძილზე ქართველი ერის თავდაუზოგველი ბრძოლის ბრწყინვალე გამარჯვების თარიღია.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ შექმნა ქართველი ერის სულიერ-ფსიქოლოგიური თავისებურება და დამპყრობელთან ბრძოლის ტრადიცია. უმიზეზოდ ხომ არ იტყოდა თემურ ლენგი: „მთელი ქვეყანა დავიპყარ და საქართველოს საყმოდ თავი ვერ დავადებინეო“.

ვერც თემურ ლენგის წინ, ვერც თემურის შემდეგ, საქართველოს „საყმოდ თავი ვერავინ დაადებინა“. მედგარი ბრძოლითა და თავგანწირვით შემოგვინახეს ჩვენმა წინაპრებმა სამშობლო და მედგარი ბრძოლის შედეგათ მივიღეთ 26 მაისი.

მთელი საუკუნის მანძილზე ცდილობდა რუსეთი ქართველი ერი დეშორებინა თავისი წარსულისაგან და ხალხის მეხსიერებიდან განედევნა გმირულ ბრძოლათა ხსოვნა და სამშობლოსადმი მიძღვნილ ქართველ გმირთა სახელები.

1918 წ. 26 მაისს საძირკველი იმ დღიდან ჩაეყარა, როცა ივერიის უძველესი კულტურული სახელმწიფო, რუსეთმა ძალმომრეობით და განუკითხავად 1801 წ. საკუთარ გუბერნიად გამოაცხადა, ერი გაძარცვა, ქართული ენა აღკვეთა და ეკლესია გაგვიუქმა.

26 მაისის საძირკველი ის თაობაა, რომელმაც ბრძოლის დროშა გაშალა და ჩვენს მატიანეში მედგარი ბრძოლის ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა. რუსეთის მუხანათობას ქართველმა ერმა ბრძოლით უპასუხა და აჯანყების ცეცხლი დაანთო: 1802, 1804. 1812. 1819, 1832 წ. წ. და სხ. დამოუკიდელობისთვის გულანთებულ მამულიშვილთა სასოწარკვეთილი გაბრძოლების წლებია.

ბოლოს ბრძოლებით და აჯანყებებით დაქანცული ქართველი ერი მიინაბა და ხელსაყრელ მომენტამდე დამპრობელისადმი შეურიგებლობას იდუმალებაში ზრდიდა. ეს ხელსაყრელი მომენტი რუსეთის რევოლუციამ შექმნა... „როცა რუსეთში ბჭობდნენ თუ რა სახე უნდა მისცემოდა რევოლუციას, ქართველებისთვის ნათელი იყო, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ყოფილიყო ეროვნული“. მართლაც, ქართველმა ერმა გამოავლინა არაჩვეულებრივი სიმტკიცე და ნებისყოფა და როცა რუსეთი სამოქალაქო ომის ცეცხლში იყო გახვეული, ამ დროს საქართველო მშვიდ და მოზომილ სახელმწიფო აღმშენებლობას შეუდგა. როგორც უცხოელი მოგზაურები ამბობენ: რუსული იმპერიის ნანგრევებზე საქართველო იყო ის ოაზისი, სადაც ადამიანს შეეძლო თავისუფლად ამოესუნთქა. ქართველ ხალხში აღსდგა საუკუნოებრივი ტრადიცია, დაუბრუნდა მამაპაპათა ზნეს, იცნო თავისი თავი და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქართველი ერის აღდგომის და ჩვენი დიდებული ისტორიის განახლების სიმბოლოდ აფრიალდა სამფეროვანი დროშა... დროშა საქართველოს თვითმყოფობის და მარადიულობის.

რა მაღალმნიშვნელოვანი, რამდენის მთქმელი უნდა ყოფილიყო ეროვნული საბჭოს მიერ განცხადებული დამოუკიდებლობის თვითეული ფრაზა... რა ენტუზიაზმს წარმოშობდა ქართველ ხალხში, როცა მოისმენდა, რომ „დღეიდან ქართველი ერი სუვერენული ერია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო“. ამ სიტყვებით ემცნო მსოფლიოს, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელახლა აღდგენა.

ხელახლად იშვა ქართული სახელმწიფო. სამფეროვანი დროშის ქვეშ იდგა გაერთიანებული საქართველო; ერთის მიზნით, ერთი გრძნობით გამსჭვალული... 26 მაისის საქართველო გადაება მრავალსაუკუნოვან ქართულ სახელმწიფოებრივ ტრადიციას; 117 წლის განმავლობაში ქართველმა პირველად იგრძნო, რომ თავისითავის უფალია, ძველი, საამაყო მემკვიდრეობის ბატონ-პატრონი.

აი რატომ არის 26 მაისი ჩვენი, საყოველთაო ეროვნული ზეიმის დღე. 26 მაისის დროშამ გამოაქანდაკა ჩვენი ეროვნული სახე, ჩვენი ეროვნული მისწრაფება. რაც სამარადისოდ ჩაიმარხა ყოველი ქართველის გულში.

მაგრამ ეს ბედნიერებაც ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წლის თებერვალში რუსეთი კვლავ დაგვესხა თავს. დამშეული ბოლშევიკების ბრბო, კალიასავით მოედო საქართველოს.

120 წლის მანძილზე რუსეთმა ორჯერ დაარღვია პირობა, ორჯერ გადათელა თავისი ხელმოწერა და ორჯერ დაგვიმტკიცა თავისი მუხანათობა...1921 წელს, ისე, როგორც 1801 წელს, ქართველი ერი ნაცად, ტრადიციულ გზას დაადგა და დამპყრობელს შეურიგებელი ბრძოლა მისცა. აჯანყებების მთელი სერია მხოლოდ ამას ღაღადებს. ქართველი ერი დამპყრობელს არც ერთ ეპოქაში არ დამორჩილებია, მას ვერც დღეს იმორჩილებენ. ხანგრძლივმა ოკუპაციამ ვერ ჩაკლა ჩვენი თავის ჩვენადვე კუთვნილობის მისწრაფება, დამოუკიდებლობისადმი ლტოლვა და მისთვის მიძღნილობა.

მსოფლიოში შექმნილი დღევანდელი ვითარება საქართველოს განთავისუფლების საწინდარია. ჩვენ აღარა ვართ განმარტოვებულნი, კბილებამდე შეიარაღებულ მტრის პირისპირ ღვთის ანაბარა მდგარი, არამედ ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა თავისუფლების მოყვარე მთელი დემოკრატიული სამყარო.

ქართველმა ერმა რევოლუციის პირველ დღეებშივე უარყო კომუნიზმი და უძველესმა კულტურამ და ტრადიციულმა ქართულმა ნაციონალიზმმა ასაზრდოვა ეროვნული თვით მყოფობის იდეა.

კომუნიზმი სუფთა რუსული მოვლენაა. ეს არის პეტრე დიდის და მის შთამომავალთა მიერ დასახული—, მსოფლიო ჰეგემონიის მისაღწევად მოგონილი ნიღაბი. ეს არამც თუ თავისუფალმა სამყარომ, არამედ თვით კომუნისტებმაც კი შეიტყვეს .ამის დამამტკიცებელია იუგოსლავიის, ჩინეთის, რუმინიის, იტალიის და სხ. კომუნისტური პარტიების ლიდერების ანტიმოსკოური გამოსვლები. რუსეთის განზრახვა ამოცნობილია და ის თვალს ვეღარავის აუბავს. დრო და გარემოება ჩვენ სასარგებლოდ მუშაობს. მხოლოდ საჭიროა უნაკლოდ შევინახოდ და ვაცოცხლოდ დამოუკიდებლობის იდეა. დროის და მანძილის საკითხმა არ უნდა დაგვაღონოს...ჩვენ გვწამს, რომ ეროვნული თავისუფლების სხივები რუსულ იმპერიასაც მოეფინება და ქართველი ერი კვლავ აღსდგება.

ეს გარემოება დიდ მოვალეობას გვაკისრებს: თავისუფალ ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებმა ბრძოლის ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ; სიტყვით და საქმით, გულით და გონებით, რწმენით და მოქმედებით, პიროვნულად თუ ორგანიზაციულად, არც ერთი შემთხვევა არ უნდა გაუშვათ, რათა წამოვწიოთ და ვაცოცხლოთ ქართული საკითხი და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა.

დამოუკიდებლობის წლისთავის აღნიშვნით ჩვენ ვაგონებთ მსოფლიოს რუსეთის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და ამავე დროს ვაფრთხილებთ იმათაც, ვისაც ჯერ კიდევ მათი ნდობა და სიმპატია აქვს. რუსებს შეუძლიანთ ქართველი მამულიშვილი დაატუსაღოს, გადაასახლოს, დახვრიტოს, მაგრამ რუსის ხიშტი უძლურია ვნება მიაყენოს თავისუფლების იდეას. ეს თანდათანობით ედება თვით საბჭოთა კავშირს და მისი სხივები ეფინება დღეს უფლება აყრილ და დამონებულ ხალხს.

ორმოცდა შვიდი წლის მანძილზე დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლებში წინ მიგვიძღვის 26 მაისის დროშა, როგორც ქართველი ერის მარადიული ოცნების სიმბოლო.

**ი.მენთეშაშვილი.**

(სიტყვა წარმოქთმული 26 მაისის კრებაზე)

## ქართული სათვისტომოს მიერ მიღებული მილოცვები.

(ვაქვეყნებთ მხოლოდ ერთ ნაწილს).

**ძვირფასო ბატონო ალავიძე:**

გმადლობთ პრეზიდენტისადმი მიმართული წერილისათვის. მწუხარებას გამოვთქვავ, რომ პრეზიდენტს არ ექნება შესაძლებლობა პირადათ გამოუგზავნოს მიმართვა ქართულ სათვისტომოს მიერ გამართულ მოგონების კრებაზე წასაკითხად, რომელიც ნიუ-იორკში ივლისის ექვს შესდგება.

როგორც მოგეხსენებათ, პრეზიდენტისადმი მიმართვების რიცხვი იმდენად დიდია, რომ უდროობა, შეუძლებელს ხდის, მან პირადათ უპასუხოს.

მე ვიცი პრეზიდენტი გაიზიარებს ჩემს მადლობას მიმართვის გამო და თქვენი ორგანიზაციის წარმატების სურვილსაც. თქვენი მსგავსი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შეერთებული შტატების ნაირ-ნაირი მოსახლეობის ურთიერთ გაგების და საერთო ინტერესების მომსახურებაში.

გულწრფელად თქვენი

**რობერტ ი. ოვენ.**

საბჭოთა კავშირის საქმეების ოფისის დირექტორი.

**ძვირფასო ბატონო ალავიძე:**

გმადლობთ თქვენი წერილისათვის, რომლითაც მიწვევთ საპატიო სტუმრად თქვენს მიერ გამართულ საზეიმო კრებაზე, რომელსაც ადგილი ექნება ივნისის 6-ს.

მრავალ ტექნიკური დაპრკოლებების გამო შეუძლებელი იქნება ჩემი დასწრება, მაგრამ მე ვთხოვე დეკანოზ გ. ჟ. ბაკოპულოს, რათა იკისროს ჩემი წარმომადგენლობა.

ვიმედოვნებ, რომ ეს თქვენთვის მისაღები იქნება.

მამობრივი ლოცვით

**იაკოვოს.**

ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიის მთავარეპისკოპოზი.

ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში.

**ძვირფასო ბატონო ალავიძე:**

მაისის 26-სი 47-დე წლისთავია დამოუკიდებლობის გამოცხადების. როცა საქართველომ თავი დააღწია რუსულ თვითმპყრობელობას, რომელიც ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან საბჭოთა კომუნიზმმა მრავალრიცხოვნობით და სამხედრო უპირატესობით კვლავ შესძლო მისი დაპყრობა.

მე არ ვიცი უკეთესი გზა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, გარდა იმისა, რომ ვთხოვო კონგრეს რათა მიიღოს სათანადო რეზოლუცია, რომ გაერთიანებულმა ერებმა გადადგას ეფექტიური ნაბიჯი და საბჭოთა კავშირს მოსთხოვოს გაიყვანოს თავისი ჯარი საქართველოდან და სხვა დაპყრობილი ერებიდან, დაუბრუნდეს დაპყრობილ ხალხს საკუთარი სამშობლო და ოჯახები, რომლებსაც ამ ჟამად უცხოეთში ყოფნის გამო დაკარგული აქვთ და ამ ქვეყნებში, გაერთიანებული ერების ზედამხედველობით, მოხდეს თავისუფალი არჩევნები.

მოქმედებით და არა სიტყვით შეგვიძლიან დავეხმაროთ ქართველ ხალხს და სხვა დაპყრობილ ერებს, რათა უახლოეს დროში, მათ კვლავ იდღესასწაულონ თავიანთი მოკლე ვადიანი დამოუკიდებლობის დღე.

ყველა ქართველებს და დაპყრობილ ერებს, მე მივესალმები და ვამხნევებ, რათა შეინახოთ რწმენა და იმედი, რომ თქვენი თავისუფლება თქვენს წინ არის.

ისტორიას ახსოვს ერები და ხალხი, რომლებსაც სწორედ მაშინ აუსრულდათ იმედი, როცა მას აღარ მოელოდდნენ.

**ევერეტ მკკინდლეი დირკსენ.**

შ. შ. სენატორი.

**ძვირფასო ბატონო ალავიძე:**

ულოცავ ქართულ სათვისტომოს წევრებს მოგონების დღეს. თქვენი მუშაობა, რათა დაეხმაროთ და გაამხნეოდ თქვენი თანამემამულენი, რომლებიც კვლავ განიცდიან კომუნისტური ტირანიის სიტლანქეს, მეტად საქებარია.

თქვენ დიდი ღვაწლი გაიღეთ, რათა არ ჩაკვდეს თავისუფლების და მშვიდობიანობის იდეა.

ჩემი საუკეთესო სურვილები დამსწრეთ და წარმატებას უსურვებ თავშეყრას.

**ჟაკობ კ. ჟევიტ.**

შ. შ. სენატორი.

**ძვირფასო ბატონო ალავიძე:**

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ისეთი მოვლენაა, რომელიც უნდა იქმნეს აღნიშნული.

ქართული წარმოშობის ჩვენმა მეზობლებმა თავისი საქციელით და თავისუფლების ინსტიტუციების მხარის დაჭერით უკვე დაიმსახურეს ყოველი ჩვენგანის პატივისცემა. ისინი ამერიკის ეკონომიკის და კულტურის ზრდის მნიშვნელოვანი მონაწილენი გახდნენ.

მე უდიდესი სიამოვნებით უძღვნი მხურვალე სალამს ქართული საზოგადოების მიერ გამართულ საზეიმო კრების ყოველ დამსწრეს.

**ნელსონ როკფელერი.**

ნიუ-იოკის შტატის გუბერნატორი.

**ძვირფასო ბატონო ალავიძე:**

მსურს გამოვთქვა პირადი და ოფიციალური კეთილი სურვილები ქართული სათვისტომოს მიმართ, მის მიერ გამართულ მოგონების დღის გამო.

ქართული სათვისტომო ეხმარება და ხელს უწყობს თავის თანამემამულეებს. მე მივესალმები ამ საქმიანობას და მწამს მომავლისთვისაც არ შესწყვეტავთ ამ სასურველ საქმიანობას.

დღევანდელ კრებაზე დამსწრეთ გთხოვთ გადასცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

**რობერტ ფ. ვაგნერ.**

ნიუ-იორკის ქალაქისთავი.

**ძვირფასო ბატონო ალავიძე:**

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის, რომლითაც მაცნობეთ, რომ ივნისის 6 ნიუ-იორკში იწვევთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავის აღსანიშნავ კრებას, და რომ თქვენ ცოცხლად ინახავთ საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის რწმენას.

მე გაქებთ თქვენი აქტიური მეთაურობისათვის ამ ძვირფას საქმიანობაში.

ჩემი მხრიდან შ. შ. ყურადღება მივაპყარი ქართველი ხალხის და სხვა დაპყრობილ ერთა მდგომარეობას. თქვენ შეგიძლიანთ, თქვენს კრებაზე წაიკითხოდ მთლიანად, ან რომელიმე ნაწილი ჩემი სიტყვისა, რომლის ასლს ამასთან ერთად გიგზავნით.

გთხოვთ მოურიდებლად მომმართოდ, თუ კი დაინახავთ, რომ რითიმე შემეძლება დავეხმარო თქვენს ორგანიზაციას.

გულწრფელად თქვენი

**ედუარდ ჟ. დერვინსკი.**

შ. შ. კონგრესმენი.

## დრ. ო. ზალდასტანიშვილის სიტყვა.

(წარმოთქმული 26 მაისის კრებაზე)

რამოდენიმე დღის წინ წავიკითხე ერთი მიმართვა, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ გასულ წელს მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნისგამო. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფიქრმა და გაგებამ, რომელსაც ეს მიმართვა შეიცავდა. ხანდისხან ჩვენა ვფიქრობთ, რომ თავისუფალი სამყაროს ლიდერები, უბრალოდ, თავაზიანები არიან ჩვენს მიმართ და არავითარი მხარის დაჭერას არ უნდა მოველოდდეთ მათგან. მაგრამ ცოტა დავაკვირდეთ ოჰაიოს სენატორ ლოჩის სიტყვებს. ის ამბობს: თავისუფლებისადმი თქვენი მაღალი მიძღვნილობა, რომელიც ერთნაირად ეხება არა მარტო ქართველ ერს, არამედ ყველას; მე,როგორც შეერთებული შტატების სენატის წევრს, მაძლევს ღრმა შთაგონებას და სიმტკიცეს“.

რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო ის არის, რომ ამ პოზიციაზე დგომა მნიშვნელოვანია არა მარტო ქართველი ხალხის მომავლისათვის, არამედ, საზოგადოთ, თავისუფლებისათვის, რომელსაც დემოკრატიული სამყარო ეძღვნება. ამგვარ გამოვლინების გამო სთქვა პრეზიდენტმა ჯონსონმა, რომ „ჩვენ არ ვეძებთ ტერიტორიებს, ჩვენ არ ვეძებთ ჩვენი მმართველობა მოვახვიოთ ვინმეს თავზე, ჩვენი მიზანია და ჩვენ ვიბრძვით, რათა ყოველ ერს მიეცეს თვითგამორკვევის შესაძლებლობა თავისუფლების ჩარჩოში“-ო. პრეზიდენტი ეხებოდა დომინიკის რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას, მაგრამ მან გამოთქვა პრინციპები, რომლითაც შეერთებული შტატების ხელისუფლება ხელმძღვანელობს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში.

ჩვენი მეგობრები აღფრთოვანებულები არიან ჩვენი ურყევი გარდაწყვეტილებით, რომ აღვიდგინოთ ჩვენი უფლებები. ისინი ხედავენ, რომ მიუხედავათ საწინააღმდეგო პირობებისა, მიუხედავათ პრობლემებისა, ჩვენ მაინც არასდროს არ დაგვიწყებია ჩვენი დამოუკიდებლობის დღე. 47 წლის მანძილზე, ყოველ წელს, მსოფლიოში გაბნეული ქართველობა იგონებს და აღნიშნავს იმ დღეს, როდესაც საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა ქართველი ერის დამოუკიდებლობა.

ისინი ანგარიშს უწევენ, რომ პატარა ქვეყანა, რომელმაც თავისუფლებისადმი ამდენი მიძღვნილობა გამოიჩინა, შთამაგონებელია. გამამხნევებელი და თავისუფალი ქვეყნიერებისათვის განმამტკიცებელი. ეს განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც თავისუფალ სამყაროს და საქართველოს შორის დამყარდა, უნდა აღიარებულ იქმნას და გაუმჯობესებული. მე მწამს ეს არის ის ძალა, რომელიც ჩვენი საკითხისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ბევრი თქმულა და დაწერილა 1918 წლის 26 მაისის შესახებ. იმ დროზე, როცა მომწიფებულმა ერმა მიაღწია ადამიანურ ღირსებას და თავის მისწრაფებებს: ამაყი თავისი დიდებული წარსულით და თავისი ტრადიციების ერთგული, განსაკუთრებული ენერგიით შეუდგა თავისუფალ ქვეყნებ შორის კუთვნილი ადგილის დაკავებას და აღიდგინა დამოუკიდებლობა. ამგვარ მოგონების დღეს, სრულიად ნორმალურია ისტორიაზე ლაპარაკი. მაგრამ ჩვენ აქ არა ვართ შეყრილნი, რათა აღვწეროთ თუ როგორი იყო 1918 წ. პირობები. არც იმისათვის, რათა გავიხსენოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივობას ორიათასზე მეტი წლის ისტორია აქვს. ჩვენ აქ არ შევიკრიფეთ, რათა ვიმსჯელოთ ისტორიაზე, რადგან ჩვენ ამ ჟამად გვაინტერესებს ჩვენი მომავალი. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ეროვნული მეობა საბჭოეთის მიერ შებღალულია. ისინი ცდილობენ თანდათანობით განდევნონ და მოსპონ ის მთავარი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართულ თავისებურ ცხოვრებას. ცხადია, ჩვენ ვერ შევძლებთ დავიცვათ პოზიცია და ცოცხლად შევინახოთ ჩვენი ეროვნული მეობა, თუ წარსულის მოგონებებით ვიცხოვრებთ.

ამ კვირის განმავლობაში, როცა ვფიქრობდი მოგონების დღეზე, ჩემ თავს ვეკითხებოდი: პრაქტიკულად რას ველით მოგონების დღიდან? ამ ფიქრმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, მიზნის მიზაღწევად საჭიროა ჩვენი პრობლემები თანამედროვე ინტერნაციონალურ პრობლემებს შევახამოთ. უნდა დავადგინოთ ჩვენი პროგრამა და რაც მთავარია ვიმოქმედოთ. ბრძოლის მოგება შეიძლება და ჩვე ის უნდა მოვიგოთ. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მომავალზე, დავსახოთ გამარჯვების პრაქტიკული გეგმა და არა წარსულის მოგონებებით ვიცხოვროთ. სამწუხაროა, რომ საზოგადოთ სწორედ ამ ადგილზე ვჩერდებით. ხშირად გამოგვაქვს ყალბი დასკვნები და რატომღაც ვფიქრობთ, რომ ჩვენ საკმაოდ ძლიერნი არა ვართ მოქმედებისათვის და ამიტომ ვერაფერს მივაღწევთ. თითქოს საქართველოს საკითხი იმდენად პატარაა და იმდენად დაშორებული საერთაშორისო მოვლენებისგან, რომ ის ამაში იკარგება. ამგვარი გრძნობით წინასწარ გამსჭვალულები მოვლენების უკონტროლო მიმდევრები ვხდებით და ჩვენი საქმის ჩაფუშვას ვეღარ უწევთ წინააღმდეგობას. ჩემი რწმენა სრულიად საწინააღმდეგოა. ჩვენ არასოდეს არა გვქონია აქტიურობის იმდენი შესაძლებლობა და ჩვენი მოქმედება არასოდეს არა ყოფილა ისე განუსაზღვრელი, როგორც ამ ჟამად არის. უდიდესი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს საქართველოს საკითხი იზოლირებულია. ეს არ არის მართალი. მთელი თავისუფალი სამყარო ჩვენსავით არის გლობალურ ბრძოლაში შესული. ქართველ ხალხს სურს მიიღოს უფლება რათა მან ნებისმიერ აირჩიოს თავისი მმართველობა. ეს სწორედ ის არის, რაც შეერთებულ შტატებს სურს ყველა ერებისათვის.

ეს ჩვენ ამ ქვეყანასთან გვაერთიანებს და ერთის წარმარტება ნიშნავს მეორის წარმატებასაც. ქართველების და თავისუფალ სამყაროს ურთიერთ პასუხისმგებლობა ნათელი ხდება. ერთიმეორის ხელისშეწყობა და დახმარება აუცილებელია.

არსებულ საერთაშორისო მდგომარეობაში შეერთებული შტატებისათვის ძნელია ქართველი ხალხის სასარგებლოდ რაიმე ღონისძიებების მიღება, მაგრამ თუ ეს არ შეიძლება დღეს, შესაძლებელი იქნება ხვალ. ამისათვის კი საჭიროა თავისუფალმა ქვეყნებმა გაიგონ, რომ ჩვენ მათთანა ვართ. ამიტომ არის საჭირო მათთან მჭიდრო კავშირში ყოფნა, მათთან თანამშრომლობა და მათ მიერ მიღებული ღონისძიებების მხარის დაჭერა. ჩვენი სტუმრები რასაც დღეს მოისმენენ და რაშიც დარწმუნდებიან ის არის, რომ ჩვენ მზადა ვართ გავინაწილოთ მათი საქმიანობა და მივეძღვნათ მას, რადგან ეს ჩვენც გვეხება და ჩვენიც არის. თუ ჩვენ არ შეგვიძლიან გავანთავისუფლოდ საქართველო, შეგვიძლიან შეუერთდეთ ჩვენს მეგობრებს; ვიმუშაოთ მათთან იმავე პრობლემებისთვის, არა ცალკეულ შემთხვევებში, არამედ ყოველდღიურად. ამ საქმიანობაში ჩვენი თანამშრომლობა უნდა იყოს მთლიანი.

დღეს საქართველოს საკითხი შეიძლება იყოს დაცული კუბაში, ვიეტნამში, გუშინ ის იყო ბერლინში, პოლონეთში, უნგრეთში და ტიბეტში. ვინ იცის სად იქნება ხვალ! მაგრამ ყოველდღე და ყველგან ჩვენ უნდა ვიყოთ და ვიმოქმედოთ და ჩვენი დახმარება თავისუფალი სამყაროსათვის მაღალღირებულოვანი იქნება, როგორც ამერიკელები, განსაკუთრებული განათლებით და წარსულით. ჩვენ შეგვიძლიან ფარდა ავხადოთ კომუნისტების ვერაგ საქმიანობას. ისინი ხომ ყველა შესაძლებლობას იყენებენ მსოფლიოში გასაბატონებლად. როდესაც გრძნობენ სამხედრო უპირატესობას არ ერიდებიან უხეშ მოქმედებას და ოკუპაციას. როცა ძალთა განწყობილება მათი სასარგებლო არ არის, კომუნისტები ერის შინა პრობლემებს აღვივებენ; ამძაფრებენ უთანხმოებას, კვებავენ ყალბი ინფორმაციებით და და ჰქმნიან მღელვარებას. მათი მიზანია დაყონ, დაასუსტონ და გაბახონ მოწინააღმდეგე. შემდეგ კომუნისტები სათანადო დასკვნებს აკეთებენ და მოქმედებენ თავისი მიზნების განსახორციელებლად. ისენი ხელოვნურად ქმნიან სამოქალაქო ომს და მას განმათავისუფლებელს ეძახიან. ამ მეთოდით კომუნისტები იმედოვნებენ, რომ შეუძლებელს გახდიან თავისუფალი ქვეყნები ჩაერივნენ საქმეში და იადვილებენ მიზნის მიღწევას.

კომუნისტების მხრივ ეს არის ორმხრივი შეტევა, რომლის ამოხსნაც, ხანდისხან, ყოვლად დაკვირვებულ ადამიანსაც კი უძნელდება.

ამის შესახებ ჯონსონმა სწორედ გამოთქვა: „სამოქალაქო და საერთაშორისო ომმა დაკარგა ძველი მნიშვნელობა“-ო.

სამაგიეროდ, რამოდენიმე დღის წინ, პოეტ ლოუველმა არ მიიღო თეთრი სახლის მიპატიჟება, რადგან მან საეჭვოდ მიიჩნია ჯონსონის საგარეო პოლიტიკა. ინტელიგენციის ერთი ნაწილი წინააღმდეგია ამერიკის დღევანდელი საგარეო პოლიტიკის,—და საშიშოა, რომ ეს აზროვნების განსხვავება ეშმაკურად არის გამოყენებული კომუნისტების მიერ. მსგავსი გამოვლინება მთელ ქვეყანას მოედო და ზურგში დანასა სცემს მთავრობას, როცა მას მორალური მხარის დაჭერა სჭირდება. ამას პასუხი უნდა გაეცეს და ეს პასუხი ჩვენგან უნდა გამოვიდეს. საკვირველი არ არის, რომ როცა კი საბჭოეთს ეძლევა საშუალება, რომ პროპაგანდა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, ის ყოველთვის პოულობს საამისო ძალებს. რომლებიც მათ მიზნებს მოემსახურებიან. ამგვარი ბნელი პიროვნებების საშუალებით, კომუნისტებს თავისი თავი მშვიდობიანობის მაძიებლად გამოჰყავთ, ხოლო ამერიკა კი ომის გამჩაღებლად და აგრესორად. ეს მხოლოდ ჩვენი ბრალია; რატომა ვტოვებთ საბჭოთა პროპაგანდას უპასუხოდ? ყველამ იცის, რომ ერთადერთი ეს ქვეყანაა, რომელიც ცდილობს ყველა ერებს მისცეს საშუალება, რომ თავისი ბედიღბალი თვითონვე გადაწყვიტონ და იყვნენ თავისუფალნი. წარსულ პარასკევს „კრისტიან საიანს მონიტორი“, როცა ანალიზს უკეთებდა პოეტ ლოუელის პოზიციას სწერდა: „დრო დადგა მოუსმინოთ ყველა მათ, ვინც მხარს უჭერს ამერიკულ პოლიტიკას და არ შერცხვება მისი დაცვა“-ო. შეიძლება ზოგმა მოვლენამ გაამართლოს მთავრობის პოზიციის კრიტიკა, მაგრამ ამერიკის პოლიტიკის საფუძველი მაინც უცვლელი რჩება და მე პირადათ მწამს, რომ მთავრობის საგარეო პოლიტიკა მოითხოვს ჩვენი მხარის დაჭერას.

როგორიც არ უნდა იყოს ამერიკის საგარეო პოლიტიკის გაგება, ჩვენი ვალია გამოვამჟღავნოთ და ვამხილოთ წითლების პროპაგანდის ნამდვილი მიზანი. ეს არის რითაც ჩვენ შეგვიძლიან დავეხმაროთ ამ ქვეყანას და მოვემსახუროთ თავისუფლებას.

თუ გვინდა ქართული საკითხი ცოცხლად შევინახოთ და მის წარმატებასაც ხელი შევუწყოთ, ჩვენ უნდა ჩავებათ და მონაწილეობა მივიღოთ თავისუფალ ერების ცხოვრებაში; მათ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში. ყოველდღიური მოქმედებით დავარწმუნოთ თავისუფლებისთვის მებრძოლი ძალები, რომ ჩვენ, ჩვენი წარსულით და გამოცდილებით, კომუნიზმის აგრესიული ბუნების ცოდნის მარაგით მათთანა ვართ; მოზიარენი მათი მწუხარების და სიხარულის, პასუხისმგებელი მათი მარცხების და გამარჯვების მოზიარენიც.

ეს არის ერთად ერთი საშუალება, რითაც შეგვიძლიან აქტიურად ვიმუშაოთ ქართველი ერისათვის და უკვდავ ვყოთ 26 მაისი.

## 26 მაისის საქართველო და გერმანია.

(ისტორიული ნარკვევი).

მებრძოლი მამულიშვილის, ცნობილი მწერლისა და ძვირფასი უფროსი მეგობრის აკაკი პაპავას ხსოვნას უძღვნის ნარკვევის ამ თავს ავტორი.

(ჩვენი თანამშრომელი ბ-ნი მინდია ლაშაური რამოდენიმე წელიწადია მუშაობს ნარკვევზე, რომელსაც ჰქვიან: „გერმანული მწერლები და გერმანული პრესა საქართველოზე“. ვიწყებთ ამ ნარკვევიდან ერთი თავის ბეჭვდას: 26 მაისის საქართველო და გერმანია.“
რედაქცია)

მატად ძნელ ვითარებაში მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვად, საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა, მისი სუვერენული სახელმწიფოებრივი ცხოვრების განახლება.

ჩრდილოეთიდან რუსეთი, ხან თეთრი, ხან წითელი, მაგრამ მაინც რუსეთი, რომელიც, დროგამოშვებით, ხან ერთი ესხმოდა საქართველოს, ხან მეორე. რა თქმა უნდა, თეთრებსა და წითლებ შორის გარკვეული განსხვავება იყო, მაგრამ საერთო ერთი ჰქონდათ: განუყოფელი, ერთიანი დიდი რუსეთის შექმნა. რუსეთი რა ფერისაც არ ყოფილიყო ვერ იტანდა საქარრთველოს დამოუკიდებლობას. ისინი, როგორც თეთრი, ისე წითელი, დროგამოშვებით, ერთმანეთს სცვლიდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დასანგრევად; ანდა ერთად მოდიოდნენ მის წინააღმდეგ.

სამხრეთით კიდევ, ჯერ სულთანის ოსმალეთი, შემდეგ „ახალი“ თურქეთი, საბჭოთა რუსეთის მოკავშირე... ესენიც დროგამოშვებით თავს ესხმოდნენ საქართველოს. მართლაც, მას შემდეგ, რაც 1453 წელს წააქციეს ბიზანტიის იმპერია და ოტომანთა იმპერია საქართველოს მეზობლად გაჩნდა, მტრობის მეტი არაფერი გაუკეთებია საქართველოსთვის.

’ისლამის გავარვარებული დროშა მაღლამაღლა იწევდა და მისი მებაირაღტრენიც ლამობდნენ ამ დროშის საქართველოს შტანდარტად ქცევას, მაგრამ ვით შეურიგდებოდა ამას გონება მახვილი საქართველო? არც შეურიგდა და დაქსაქსულმა მაინც სცადა შებრძოლება თავ აწყვეტილ მტერთან“. (იხ. ვ. კოტეტიშვილი: „საქართველო და გერმანია“. გაზ. „სახალხო საქმე“ №273. ტფილისი 1918, ივლისის 5)

ოსმალეთმა მოსტაცა საქართველოს სამეფოს ისტორიული ტაო-კლარჯეთი, სადაც დაირწო ქართული პოლიტიკური და კულტურული აკვანი. ზოგიერთებს დღესაც ვერ აუღია ხელი იმ ოცნებაზე, რომ კვლავ მოსტაცოს ჩვენს ქვეყანას ისტორიული ტერიტორიის ის ნაწილიც, რაც დღემდე შემოგვრჩა. თითქოს თემას არ უნდა ეხებოდეს ეს, მაგრამ უნდა მოვიყვანოთ ამის დამადასტურებელი საბუთები. აი რას ვკითხულობთ 1935 წელს, სტა-

## ქართული სათვისტომოს მიერ მიღებული მილოცვები.

(დასაწყისი იხ. პირველ გვ)

**ე. ჟ დერვინსკის სიტყვა**

წარმოთქმული შ. შ. კონგრესში.

47 წლის წინ, მაისის 26-ს, 1918 წ. საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ქართველმა ხალხმა გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის ოფიციალური აქტი გამოაქვეყნა ქართულმა პარლამენტმა, რომელიც იმ დღით შეიკრიფა და წარმოადგენდა ხალხის წარმომადგენლობას. იმ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო და აღიარა ოცდაექვსმა ქვეყანამ.

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობა და იმ ქვეყნის მებრძოლ მოქალაქეების სურვილი დაამხო რუსულმა კომუნიზმმ, რომელმაც დაიპყრო ეს ერი, ვიდრე მათი დამოუკიდებლობა განმტკიცდებოდა.

მას შემდეგ, რაც ხელახლად დაიპყრეს და საბჭოთა კავშირის ნაწილად აქციეს, ქართველი ერი დაუცხრომლად ამჟღავნებს თავის ეროვნულ სულს და უცდის იმ დროს, როცა მათ ქვეყანაში კვლავ აღსდგება, მათ მიერ დამსახურებული, თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრება. ამ წელს თავისუფალ ქვეყნებში მცხოვრები ქართველების ლიდერები მართავენ დამოუკიდებლობის მოგონების დღეს, რათა თავისი ხალხის გულში აღანთონ იმედის ცეცხლი და შეინახონ ანტიკომუნისტური ბრძოლის უნარი.

პირველი ნაბიჯი, რომელიც ჩვენ შეგვიძლიან საჩქაროდ გადავდგათ ის არის, რომ კონგრესმა შექმნას სპეციალური კომიტეტი, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველ ხალხს და სხვა დაპყრობილ ერებს, რომ არ ჩაიფუშოს მათი იმედები და კომუნიზმს თავი დააღწიონ.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ შეერთებული შტატების და მთელი თავისუფალი სამყაროს მშვიდობიანობა საფრთხეში იქნება, ვიდრე კომუნისტები ატარებენ იმპერიალისტურ პოლიტიკას და მათი აგრესია მიზნად ისახავს ქვეყნიერება მათი კონტროლის ქვეშ მოაქციონ.

ქართველი ერის სამართლიანი ნაციონალიზმი, ისევე, როგორც სხვა დაპყრობილი ქვეყნების, საბჭოთა აპარატის უსუსტესი ადგილია.

გავამხნეოდ ქართველი ხალხის ლიდერები, რათა მათ გააგრძელონ მუშაობა, რომ აღადგინონ თავისი ერის თავისუფლება. საქართველოს თავისუფლების აღდგენა, უეჭველად გავრცელდება მათ მეზობელ ქვეყნებზეც, რომლებიც ამ ჟამად საქართველოსთან ერთად იზიარებენ საბჭოთა მპყრობელობის მძიმე პოლიტიკას.

**ძვირფასო ბატონო ალავიძე:**

დიდ მადლობას მოგახსენებთ დაპატიჟებისათვის, რომ დავესწრო საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. სამწუხაროდ იმ დღით მე უნდა ვილაპარაკო როჩესტერში. ყოველშემთხვევაში გთხოვთ წაიკითხოთ ჩემი მიმართვა ამ შემთხვევის გამო.

„უკრაინულ კონგრესის და დაპყრობილ ერთა კომიტეტის სახელით გამოვთქვავ გულითად მილოცვას საქართველოს დამოუკიდებლობის დღის გამო. როგორც საზოგადოთ ცნობილია, დაპყრობილ ერთა მთელი მოქმედება შეიცავს და მისი მიზანია ქართველი ერის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მე ვთხოვ თქვენს ორგანიზაციას და მეგობრებს გააცხოველონ ჩვენთან თანამშრომლობა, რომელიც ურთიერთ მიზნის განხორციელებას ემსახურება“

ვისურვებთ მიღწევებს.

გულწრფელად თქვენი,

**ლევ ე. დობრიანსკი.**

თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზოლში გამოსულ „გეშიხტე დერ ტურკიშენ რეპუბლიკ“-ში, რომელიც დაწერილია გერმანულ ენაზე: „ქართველებმა გაგზავნეს წარმომადგენელი ანკარაში და მოლაპარაკებების შედეგი ის იყო, რომ საქართველოს მთავრობა საბოლოოდ იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რომ არდაგანი, ართვინი და ბათუმი მოქცეულიყო თურქეთის სახელმწიფოში. ეროვნულად მოაზროვნე მოსახლეობა ამ ოლქებისა, რომელიც მოუთმენლად ელოდებოდა თურქეთთან შეერთებას, შეხვდა თურქეთის არმიას აღფრთოვანებით“. („გეშიხტე დერ ტურკიშენ რეპუბლიკ“. ისტანბულ, 1935, გვ. 91. გერმანულ ენაზე).

რომელ აღფრთოვანებაზეა აქ ლაპარაკი, როცა დღიდან თურქი დამპყრობელების შემოჭრისა სამხრეთ საქართველოში, აჭარლების ბრძოლა მათ წინააღმდეგ არ შეწყვეტილა. 19-ტე საუკუნის დასაწყისში უფრო გაძლიერდა იგი. ამ ბრძოლას მეთაურობდა მრავალთა შორის, სელიმ ხიმშიაშვილი. ოსმალებმა შეიპყრეს ერთერთ ბრძოლაში მებრძოლი მამულიშვილი სელიმ ხიმშიაშვილი. ჯალათების მიერ თავის მოკვეთის წინ, ხიმშიაშვილმა თავის ანდერძში სთქვა: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებსაც დაუტოვებ“. (იხ. ბათუმის გაზეთი“. 1911 წ. №134. ამოღებულია წიგნიდან აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957, გვ. 97)

ეს ტერიტორიები ძალით მიტაცებულია თურქ-ოსმალების მიერ. ის ოდიდან ქართული ტერიტორია იყო: „15-ტე საუკუნიდან ქართველთა ტომი ლაზები მოაქციეს ისლამის სარწმუნოებაში... ისინი დაიპყრეს ოსმანების თურქებმა“. (ო. გ. ფონ ვესენდონკი: აუს დერ კაუკაზიშენ ველტ. ბერლინი, გვ. 144—145. გერმანულ ენაზე)

გერმანელი ავტორი, ქართული ტერიტორიების აღწერისას, იმავე წიგნში, ეხება რა ლაზეთს, შემდეგ აბასთუმანს, რომელსაც ავტორი სამკურნალო ადგილს აკუთვნებს, სწერს: „ეს ლანდშაფტი არის ტაო, წარმოშობის ადგილი ბრწყინვალე ბაგრატიდებისა, რომლებმაც საქართველოსა და სომხებს მეფეები მისცა... აბასთუმნიდან გზა მიდის ახალციხისაკენ, რომელიც მთავარ ადგილს წარმოადგენს სამცხისა და საათაბაგოსათვის...აქ ჩვენ ფეხი გვიდგას ქართლის მიწაზე.

მთელ ამ ტერიტორიის აღწერის დროს გერმანელი ავტორი წიგნის მე-7 თავს შემდეგნაირად ასათაურებს: „ინ თამარს რაიხ“. (თამარის სამეფოშიო)

საქართველოს დღევანდელ ტერიტორიალურ მდგომარეობაზე, აი რას სწერს დრ. ი. ერჰორნი: „საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო როდი შეიცავს ყველა თავის ეთნოგრაფიულ ტერიტორიას. თურქეთს დღეს დაკავებული აქვს ლაზისტანი და სამხრეთ აჭარის ტერიტორია, რომლის მოსახლეობის 80% ქართველია. ეს ტერიტორია შეიცავს 80.000 კვადრატიულ კილომეტრზე მეტს, სამ მილიონ სულზე მეტი მოსახლით“. (იხ. დრ. ი. ერჰორნი: კავკასიენ. ბერლინი 1942, გვ. 42—43. გერმანულ ენაზე).

არასოდეს ისტორიულად და არც ეხლა საქართველოს არასდროს ჰქონია სურვილი თურქეთის პროვინციად გახდომისა.

„ქართველებს, როგორც ქრისტიანებს, ოსმალებისადმი მაინცა და მაინც განსაკუთრებული სიყვარული არა აქვთ...ქართველებს არ სურთ თურქეთის პროვინცია გახდეს მათი ქვეყანა...აქედან მოდის დიდი ლტოლვა ქართველებისა გერმანელებისაკენ“. (იხ. ჰერბერტ ფოლკი. ოილ უნდ მუჰამედ. ბრესლაუ 1937 გვ. 108. გერ. ენაზე)

საქართველოს ქვეყნის შიგნითაც მრავალი მტერი აღმოუჩნდა. გაბოლშევიკებული ჯარისკაცები, როგორც ქართველები, ისე არაქართველები, დარბევით ემუქრებოდნენ საქართველოს დაბა-ქალაქებს.

ამიერ-კავკასიის ხალხთა ერთობა დანგრეული. ერთი ალთას მიდის, მეორე ბალთას. მათი ერთობა ვერ განხორციელდა ერთ ჭერ ქვეშ. რა თქმა უნდა ამაში გარეშე ძალებმა ითამაშეს სათანადო როლი. ასეთ ვითარებაში საქართველოს რა დარჩენია თუ არა საკუთარი გზით სვლა. მან საკუთარი გზა უნდა აირჩიოს. ეს საკუთარი გზა: გზა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. მაგრამ როგორ? რით? ვისი დახმარებით?

საჭიროა მოკავშირე, დიდი სახელმწიფო, რომელიც დაიცავს მას გარეშე ძალებისაგან, რომელიც საშუალებას მისცემს მას სახელმწიფო აღადგინოს, ააშენოს.

საქართველო ისტორიულად ეძებდა მოკავშირეს, დამხმარეს. სად არ იყვნენ ქართველი მეფეების სრულუფლებიანი წარგზავნილები, მათი ელჩები, რომლებიც ცრემლითა და ჩოქვით ევედრებოდნენ ევროპიელებს შველას, რომ დაეხსნათ საქართველო მუსლიმანური რკალისაგან, განადგურებისაგან, გადაჯიშებისაგან.

მართლაც, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, იმ ხანებში, შეუძლებელი იყო უცხო სახელმწიფოს დახმარების გარეშე. საჭირო იყო ისეთი სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებული იყო ჩვენით. ჩვენ კიდევ მისით. რომ მას ნდობით მოვპყრობოდით. ასეთ სახელმწიფოდ მაშინ აღმოჩნდა გერმანია.

ამის შესახებ, ე. ი. გერმანული ინტერესების თაობაზე, აი რა სთქვა გერმანელმა ცნობილმა მწერალმა და მკვლევარმა პაულ რორბახმა: „ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკა დღითიდღე მკვიდრ ნიადაგზე სდგება. შავი ზღვის კარები გაგვეხსნა. მდინარე დუნაით კავკასიას მივადექით და კავკასიის ბჭეს, საქართველოს მეგობრულად დაუკავშირდით, ვისაც უნდა აზიაში ფეხი მოიკიდოს, იგი უპირველეს ყოვლისა, საქართველოში უნდა გამაგრდეს, აქ მოიპოოს მეგობრული განწყობილება, უზრუნველჰყოს ამ ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლება“.

პაულ რორბახმა ეს სიტყვა წარმოსთქვა ბერლინში, ერიკ ბერნშტეინის მოხსენებასთან დაკავშირებით 1918 წ.სექტემბერს, ქართულ გერმანულ საზოგადოების კრების წინაშე. (ეს ცნობა ამოვიღეთ გაზეთ „სახალხო საქმის“ №324-დან 6. 9. 1918 წ.)

აი რას ვკითხულობთ კიდევ შავი ზღვის ეკონომიურ მნიშვნელობაზე: „მომავალში დუნაის სანაოსნო გზის გახსნას აქვს მნიშვნელობა გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის მხარეების ინტერესებისათვის შავ ზღვაზე...ბათუმი და ფოთი მალე მოემსახურება დუნაის ნავთსადგურებს...ბათუმით და ან ფოთით—ბაქო, სპარსეთით და იმიერ კასპიით იხსნება გზა ავღანეთსა და ინდოეთისაკენ და მათთან ურთიერთობისათვის“. (იხ. დავის ტრიეტში. „გეორგიენ უნდ დერ კაუკაზუს“. ბერლინი, 1918, გვ.26-27. გერმანულ ენაზე).

მართლაც შავ ზღვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკური ეპოქიდან მოკიდებული. არგონავტები ქრისტეს წინ კოლხეთს რომ მოადგნენ გასასეირნებლად არ წამოსულან. მათი მიზანი შავი ზღვის ათვისება იყო. გზის მონახვა.

შორეულ წარსულშიაც ვაჭრები, ევროპასა და ინდოეთ შორის ამიერკავკასიაზე გავლით დადიოდნენ. ისინი ხმელთაშუა ზღვიდან გემებით შემოდიოდნენ შავ ზღვაში, ამოჰყვებოდნენ რიონს და შემდეგ ყვირილას შორაპნამდე. აქედან ფეხით გადადიოდნენ სურამის უღელტეხილზე და შემდეგ ისევ დაჰყვებოდნენ მტკვარს, გაცურავდნენ კასპიის ზღვას და ასე განაგრძობდნენ გზას მდინარე ამურდარიით, რომელიც მაშინ კასპიის ზღვას ერთვოდა.

(გაგრძელება იქნება).

**მინდია ლაშაური.**

## საბჭოთა კავშირის საგარეო უმწეობა.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის პასიურობა, როგორც ჩინელი კომუნისტები ამბობენ, რეჟიმის „გაბურჟუების“ შედეგი ხომ არ არის? მშვიდობიან თანაარსებობის პოლიტიკა, ამერიკასთან შედარებით, მისი სამხედრო უძლურების საფარი ხომ არ არის? დღეს ყველას წინაშე ეს საკითხი ისმება. ამას ერთი გარემოებაც ემატება: შვიდას მილიონიანი ჩინეთი, რომელიც საბჭოთა კავშირს დიდი სივრციდ საზღვრავს, პოლიტიკურად და ეკონომიურად აღმავლობის პერიოდში შედის. მცხოვრებთა რაოდენობით, ბუნებრივი სიმდიდრით, თუ მას არ სჭარბობს, არც ჩამოუვარდება. თუ უახლოეს დროში არა, მომდევნო 10—15 წელიწადში საბჭოთა მრავალეროვან იმპერიისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. მათ შორის გამწვავებული იდეოლოგიური დავა, ბოლოს ტერიტორიალურ დავად გადაიქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კომუნისტური სახელმწიფოა და ის, რომ ჩინეთის მოსახლეობა წლიურად ათეულ მილიონებს მატულობს, დემოგრაფიული კანონების თანახმად, ამ ადამიანთა მასების ნიაღვარი საბჭოთა კავშირისაკენ უნდა მიიმართოს. ჯერ ერთი აზიის რუსეთი და ციმბირი არა რუსი ხალხით არის დასახლებული და, როგორც ვიცით, კომუნისტურ ჩინეთს სწორედ ამ ტერიტორიებზე აქვს პრეტენზიები, რადგან ისტორიიდან ირკვევა, ის ძველი ჩინეთის იმპერიაში შედიოდა.

საბჭოთა მთავრობის ერთად ერთი მოსაზრება, როცა კომუნისტური ჩინეთის „ავანტირუსტულ“ პოლიტიკას კიცხავს, ის არის, რომ 47 წლის არსებობის შემდეგ, ოქტომბრის გადატრიალებიდან დღემდის, მოსკოვს სრულებით არ სურს, მსოფლიო კომუნისტური ინტერესების სამსხვერპლოზე, საკუთარი ნაციონალური არსებობა ზვარაკად მიიტანოს, რასაც ის აქამდის ცეცხლით და მახვილით იხვეჭდა.

კრემლის მმართველებს, არის ეს ბრეჟნევი, კოსიგინი და ხრუშჩოვი (სტალინის ჩათვლით), ყოველთვის ახასიათებთ საგარეო ურთიერთობაში დიდი სიფრთხილით მოქმედება. წინად, პარტიაში არსებული მემარცხენე ოპოზიცია, ამას ხსნიდა ბელადების შიშით და ლაჩრობით, საერთაშორისო რევოლუციის ღალატსაც კი სწამებდა. რეჟიმის თავდაპირველ პერიოდშივე, პარტიის შიგნით, ამ საკითხზე ცხარე კამათი და დავა სწარმოებდა. ბუხარინი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ ევროპის პროლეტარიატის ღალატი იქნებოდა, რომ რუსეთის რევოლუციას თავის-თავის გადასარჩენად, გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე მუხლი მოედრიკა და სამარცხვინო ზავზე დათანხმებოდა. ოპოზიციით განრისხებული ლენინი კი, თუნდაც მარტო რუსეთის რევოლუციის გადასარჩენად, საჭიროდ სთვლიდა, ტაქტიკური მოსაზრებებით უკან დახევას, იმ მოტივით, რომ რევოლუცია ჯერ კიდევ სუსტი და უძლური იყო გერმანიის საომარ წინსვლის შესაჩერებლად და დაუყონებლივ ზავის შეკვრა აუცილებელი ხდებოდა. წინააღმდეგობის გაწევით რუსეთს დამარცხება ვერ ასცდებოდა. ეს კი თავისთავად რევოლუციის დაღუპვას მოასწავებდა. რევოლუციის გამარჯვებისათვის, მონაპოვარის შესანარჩუნებლად, ლენინს საჭიროდ მიაჩნდა, გერმანიის მიერ მოთხოვნილი ტერიტორიების დათმობაც, თუ საბოლოოდ არა, დროებით მაინც. ტროცკი მოითხოვდა, რუსეთის რევოლუცია გაეწირათ, თუ საჭირო იყო, და თუ ეს უზრუნველყოფდა სხვა ქვეყნებში, ე. ი. მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებას. სტალინი ლენინის პოზიციას მიემხრო და ამბობდა, რომ საერთაშორისო რევოლუციორი ინტერესები, საბჭოთა რუსეთის ინტერესებს უნდა დაექვემდებაროს, რადგან ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც სოციალიზმის განხორციელება შესძლო, ეს რუსეთი იყო. ამიერიდან საბჭოთა სახელმწიფო, მთელი ათეული წლების განმავლობაში, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის შენების თეორიით იკვებებოდა.

შესაძლოა, გამოუთქმელად მათაც დასაშვებად მიაჩნდათ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის წარმატება, უფრო სასარგებლო ყოფილიყო საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის წინსვლისთვის. სწორედ, ახლა, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო მწვავე უთანხმოება ამავე საკითხებზე სწარმოებს. მართლაც, ამის გამო, საბჭოთა კავშირს, კომუნისტურ პარტიას, კომუნისტური ჩინეთი გაშმაგებით თავს ესხმის და კატეგორიულად მოითხოვს უპირობოთ, ურეზერვოდ, კომუნისტურმა სახელმწიფომ თავისი ძლიერება მოახმაროს სოციალისტურ ქვეყნებს და კომუნისტურ პარტიებს, რომელთაც ეს დახმარება სჭირდებათ. აქამდის მოსკოვის მთავრობა ყალთაბანდურად სიტყვიერი პროპაგანდით კმაყოფილდებოდა და დახმარებაზე თითქოს უარს არ ამბობს. დახმარების დაპირებები, ბევრჯერ განმეორებულ იქმნა, მაგრამ რეალურად არაფერში არ გამოვლინებულა და ჯერ-ჯერობით უფრო მშვიდობიან თანაარსებობის იდეების ქადაგებას განაგრძობს, ვიდრე საომარ მოქმედებისათვის მზადებას. ჩინელების აზრით, საბჭოთა კავშირი ნამდვილად გაურბის იმპერიალიზმის წინააღმდეგ დაპირდაპირებას და კოლონიურ ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლის დახმარებას, რათა ამით იმპერიალისტურ სახელმწიფოების განრისხება არ გამოიწვიოს.

ამ წლს დასაწყისიდან, დიდ თავსამტვრევი პრობლემა, რომელიც საბჭოთა მთავრობის წინაშე წამოიჭრა, იმაში მდგომარეობს, როგორ დაეხმაროს მოკავშირე ჩრდილო ვიეტნამს, სამხრეთ ვიეტნამის დაბომბისაგან, რომელსაც საომარ საჭურველს ამერიკა აწვდის. ათასჯერ მყვირალა განცხადების: რომ საბჭოთა მთავრობა მათ ერთგულ მოკავშირეს არასდრს არ დასტოვებს და განსაცდელის ჟამს ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს; რომ არც ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკას და არც სხვა კომუნისტურ ქვეყნებს, იარაღი საძებარი არ ექნებათ, რადგან საბჭოთა კავშირის ძლიერი საომარი საჭურველი და ბირთვული იარაღი, ყოველ აგრესორს სამუდამოდ დაუკარგავს ომის მადასო. აგერ თვეები გადის, ჩრდილოეთ ვიეტნამელების თავზე ტონობით ყუმბარები სქდება და რეალური დახმარება კი არსად სჩანს. თუმცა დიდი ხანია მთელ მსოფლიოს აყრუებენ, პროპაგანდული მიზნით, „მოხალისეები იგზავნება“-ო, მაგრამ დღემდის დანიშნულ ადგილამდე, რატომღაც, ვერ აღწევს. მანამდის კი „მოძმე ქვეყნის“ სოციალიზმს სული ამოძვრება.ხომ გაგიგონიათ: ვიდრე პავლე მოვიდოდა პეტრეს ტყავი გააძვრესო.

მოსკოვს არ სურს ამ სახიფათო გარემოცვაში ძალიან შორს წავიდეს, რაც მისთვის მეტად საბედისწერო იქნება. მაინც დიდი სურვილი აქვს ჩრდილო ვიეტნამს შენიღბულად მაინც მხარი დაუჭიროს და „აგრესორების“ თავდასხმისაგან დაიცავს. მიუხედავათ იმისა, რომ ნამდვილად თავდამსხმელი ამერიკა კი არა, ჩრდილოეთ ვიეტნამია და მისი წამქეზებელი კომუნისტური ჩინეთი. ჩინეთიც თავის მხრივ ცდილობს საბჭოთა კავშირი ჩაითრიოს შუა აზიის კონფლიქტებში და ამერიკას წააკიდოს. მოსკოვი ასეთ რისკს ერიდება. აქედან გამომდინარეობს მისი პასიურობა, მერყეობა და უმოქმედობა.

თავისთავად გასაგებია იმ ქვეყნების იმედის გაცრუება, რომლებმაც საბჭოთა კავშირისაგან უშიშროების და თავდაცვის გარანტია მიიღეს ბუნებრივია, რომ ამან ნდობის კრიზისი გამოიწვიოს. ეს ვითარება მსოფლიო კომუნისტურ პარტიებს საგონებელში აგდებს. მესამე ძალის სახელმწიფოების ხელმძღვანელებს კი მოსკოვის დაბნეულობა და შეუმართებლობა ძალზე აშფოთებს, რომელთაც პროგრამის მთავარ მუხლად, სწორედ მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აქვთ დასახული, იგივე საბჭოთა კავშირის წაქეზებით და იმედით.

დასაშვებათ მიგვაჩნია, საბჭოთა კავშირმა გარეგნულ პოზის და პრესტიჟის შესანარჩუნებლად, მართლაც გაუგზავნოს ჩრ. ვიეტნამის მთავრობას მცირე რაოდენობის სამხედრო მასალა, ხოლო ეს მას მძიმე მდგომარეობას სრულებით ვერ შეუმსუბუქებს. შეიძლება, ამ უმნიშვნელო დახმარებამ ჩრ. ვიეტნამი დროებით გაამხნეოს და ხალხში მორალი ასწიოს, ხოლო მოახლოვებული კატასტროფისაგან სრულებით ვერ იხსნის.

მოსკოვს ჭკუაში არ უჯდება თავისი ვალდებულებები მეტად დაამძიმოს და ამით არაპირდაპირ ომში ჩათრეულ იქმნას. სინამდვილეში ასეთ სახიფათო ომში გარევა მას აშინებს, ასეთი ქანაობა კი პოლიტიკური გავლენის არემარეს ხელიდან აცლის. განა საცილობელია, რომ ამ ჟამად, საბჭოთა კავშირი და თვით ამერიკა ერთ და იმავე მდგომარეობაში არ არის? თანამედროვე საომარი საჭურველი: ატომური იარაღები პარტიზანულ ბრძოლებში უხმარი და უვარგისი არის. ამიტომაა საბჭოთა კავშირის „სამხედრო ძლიერება“ ვიეტნამს ვერაფრით ვერ მიეხმარება, რომ მასზე ყუმბარების დაშენა შეაფერხოს. საბჭოთა კავშირი არც სხვა იარაღშია განთქმული და ამერიკასთან თანატოლი. ეს ხომ არ არის მიზეზი, რომ ომში ჩარევას და ამერიკასთან პირისპირ შებმას ერიდება? მშვიდობიანობის გორას ეფარება და იქიდან დიპლომატიური ზიგზაგებით ფიქრობს ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკის გადარჩენას? ასევე შეიძლება ითქვას პატარა მასშტაბის ადგილობრივ ბრძოლებში, ვიეტკონგის დასამარცხებლად ატომური იარაღის გამოყენება წარმოუგდენლად გვეჩვენება. მოდერნული სამხედრო საჭურველი, რარიგად საშინელი არ უნდა იყოს. მისი არა ჩვეულებრივი დანიშნულების გამო, მხოლოდ და მხოლოდ, დიდი მასშტაბის ომში, ნაციონალური ტერიტორიის დასაცავად თუ გამოდგება, ან მტრის სამხედრო პოტენციალის და სამრეწველო აგლომერაციის გასანადგურებლად. სხვა მხრივ, მისი მოხმარა საეჭვოა.

საბჭოთა მთავრობამ, თავის ხანგრძლივ არსებობის განმავლობაში, ბევრჯერ გამოავლინა და ეხლაც ავლენს, თუ რა განსხვავება არსებობს საკუთარ სახელმწიფო ინტერესებს და სხვა კომუნისტურ ქვეყნებს შორის. მათთვის უწინარესი და მთავარია საკუთარი სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა და არა „მოძმე კომუნისტური“ ქვეყნების შველა და განსაცდელისგან დახსნა. მშვიდობიან თანაარსებობის პოლიტიკა, ფრთხილი საგარეო ურთიერთობა, იქით არის მიმართული, რომ თავი დაიძვრინოს სარისკო ომში ჩარევისაგან. ამისთვის მზად არის, როგორც ყოველთვის, არა მარტო ჩრ. ვიეტნამი გასწიროს, არამედ თუ ეს მოახერხა კომუნისტური ჩინეთიც ზედ მიაყოლოს. მხოლოდ თვით უვნებლად გამოვიდეს.

ერთხელ კიდევ საბჭოთა კავშირი, საშიშროების წინაშე მდგარი, საკუთარ თავის გადარჩენაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე დაშლილ კომუნისტურ ინტერნაციონალურ სახსრების

## წითელი არმია და საქართველო

(გადაეცა „რადიოთავისუფლებას“ მიერ)

1918 წლის 25 თებერვალს, ლენინის უახლოესმა თანამშრომელმა, ტროცკიმ, დაიწყო წითელი არმიის ჩამოყალიბება: სწორედ ამ დღეს აღნიშნავს პარტხელმძღვანელობა წლისავ. მაგრამ წითელი არმიის დამაარსებელი—ტროცკის სახელი, უკვე ოციან წლებიდან სრულიად ამოშლილია საბჭოთა ისტორიიდან. წითელმა არმიამ მარადაც გადამწყვეტი როლი ითამაშა სამოქალაქო ომში, რის შედეგად ბოლშევიკები საბოლოოდ გაბატონდნენ რუსეთში.

მაგრამ საქართველოში არც სამოქალაქო ომი და არც წითელი არმია, იმ დროს, არ ყოფილა: ქართველმა ერმა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ამის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა ეროვნული არმია და გვარდია, რომელიც თავგანწირვით იცავდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს.

წითელი არმია საქართველოში შემოვიდა ცეცხლითა და მახვილით: დაარღვია რა ლენინის მთავრობამ საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7-ღი მაისის ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა,—წითელი არმია ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა საქართველოში. ასე დაიწყო 1921 წლის დასაწყისში საბჭოთა-რუსეთ-საქართველოს ომი. მიუხედავად იმისა, რომ პატარა საქართველოს ომი უკვე გადაწყვეტილი იყო, ქართული ჯარი მამაცურად შეებრძოლა საქართველოს საზღვრებში შემოჭრილ წითელ არმიას და ომის პირველ თვეში უკუაგდო კიდეც წითელი ჯარი აღმოსავლეთის ფრონტზე. სასახელო ფურცელი ჩასწერეს ქართველმა მეომრებმა ქართულ ისტორიაში, ტაბახმელა-კოჯორის და სხვა ფრონტებზე, სადაც წითელი არმიის მასობრივი შეტევები მამაცურად მოიგერიეს და ჩვენმა მხედრობამ მტერი აიძულა უკან დაეხია. მაგრამ რა უნდა ექნა მრავალრიცხოვანი წითელი არმიის წინააღმდეგ საქართველოს ახლად ჩამოყალიბებულ მცირერიცხოვან არმიას? ორი თვიის ბრძოლის შემდეგ, წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო და ასე გაბატონდა მოსკოვის პარტიული დიქტატურა ჩვენს სამშობლოში იცნობდა რა ქართველი ხალხის განწყობილებას წითელი არმიისადმი, პარტხელმძღვანელობამ შექმნა საბჭოთა საქართველოს ჯარი, რომელშიც გაერთიანებულ იყო მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები. რა თქმა უნდა, საბჭოთა საქართველოს ჯარიც წითელი არმიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს მაინც გააჩნდა ქართული სამხედრო ნაწილები, სადაც ოფიცრობა ქართველები და ენა ქართული იყო. რაც უფრო მთავარია, ქართველებს შეეძლოთ სამხედრო ბეგარის მოხდა საქართველოში.

მეორეჯერ ქართველ ხალხს წითელ არმიასთან შეტაკება მოუხდა 1924 წლის აგვისტოს დამლევს, როცა მთელი საქართველო აჯანყდა უცხო, კომუნისტური დამპყრობლების წინააღმდეგ. ვინაიდან პარტხელმძღვანელობამ წითელი არმიის ქართული ნაწილები სანდოთ არ მიიჩნია, ეს ეროვნული აჯანყება ჩაახრჩო უცხო სამხედრო ძალამ.

ოცდაათიან წლებში კი წითელი არმიის ქართული ნაწილები დაშალეს და იგი აურიეს რუსულ ნაწილებში. ამგვარად, ხელის ერთი მოსმით ქართველ კაცს მოუსპეს საშუალება, რომ, სამხედრო ბეგარა, მართალია კომუნისტური, მაგრამ მაინც ქართულ ჯარში მოეხადა. ამის შემდეგ იწყება ქართველი ახალგაწვეულების უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე გაფანტვა: ყველგან შეხვდებით დღეს ქართველ ჯარისკაცს, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აქა-იქ გაფანტულს, მაგრამ ვერ შეხვდებით ჩვენს სამშობლოში—საქართველოში. მართალია, მეორე მსოფლიო ომის დროს ისევ დაუშვეს წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნა, მაგრამ ესეც მხოლოდ ნაწილობრივ იქმნა ომის დროს ცხოვრებაში გატარებული, ვინაიდან აქაც უნდობლობა გამოიჩინეს საქართველოს ჯარისადმი „ცენტრის“ პარტხელმძღვანელობამ.

მესამეჯერ, საქართველოს ხალხს, ახალგაზრდობას, შეტაკება მოუხდა წითელ არმიასთან, 1956 წლის მარტში, როცა თბილისის სტუდენტობა და მუშა ახალგაზრდობა გამოვიდა ქუჩაში ეროვნული მოთხოვნებით. ქალაქის მილიციამ, როგორც დასავლეთელი კორესპონდენტები იტყობინებოდნენ, უარი თქვა ესროლა მშვიდობიან დემონსტრანტებისათვის. პარტხელმძღვანელობამ ისევ მიმართა წითელი არმიის განსაკუთრებულ ნაწილებს, რომლებიც სპეციალურად ჩაიყვანეს თბილისში და ეს მშვიდობიანი დემონსტრაცია სისხლში იქმნა ჩახშობილი.

როგორც ვხედავთ, პატივცემულო მსმენელებო, წითელი არმია იყო უცხო ბატონობის დასაყრდენი ძალა საქართველოში და ასეთია ის დღესაც. უცნაურია ამის შემდეგ გაზეთ „კომუნისტის“ მტკიცება, თითქოს, „ხალხის მხარდაჭერა და სიყვარული არის ერთი უმთავრესი წყარო წითელი არმიის სიძლიერისო“! ყოველშემთხვევაში, საქართველოს ხალხს არავითარი სიყვარული არ შეიძლება ჰქონდეს იმ არმიისა, რომელმაც იარაღის ძალით მოსტაცა მას ეროვნული თავისუფლება და გააბატონა საქართველოში უცხო კომუნისტური ხელისუფლება! ამ ფაქტის უარყოფა საქართველოს დღევანდელ პრესას იმითაც არ შეუძლია, რომ ამ დღეებში რუსი ჯარისკაცის გვერდით ყოველთვის სურათოვნად აყენებს ქართველ საბჭოთა ჯარისკაცს. დღეს ქართული ჯარი არ არსებობს და დაახლოვებით ასიათასამდე ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები ისეა გაფანტული წითელი არმიის მასაში, რომ ისინი თავისთავად არავითარ ძალას არ წარმოადგენენ და სწორედ ეს სურს „ცენტრის“ პარტხელმძღვანელობას. წითელი არმია—ეს არის მეფის რუსეთის არმიის მემკვიდრე და როგორც წინად, ისე დღეს, არის იარაღი „ცენტრის“ ხელმძღვანელობის ხელში ჩაახშოს ყოველი ერის მისწრაფება ეროვნული თავისუფლებისაკენ. კიდევ მეტი: წითელი არმია არის ერთერთი ძლიერი იარაღი გარუსებულ იქმნეს საბჭოთა კავშირის არარუსი ერები და მათ შორის ქართველებიც. რუსული ენა, რუსული ისტორია, რუსეთის მხედართმთავართა ქება-დიდება—აი საფუძველი, რომელზედაც ეყრდნობა აღზრდა წითელ არმიაში. ორდენები „კუტუზოვის“, „სუვოროვის“—დიდი ჯილდოებია წითელ არმიაში. რუსეთის მეფეები „პროგრესიულ“ პირებათაა დახასიათებული, ხოლო საბჭოთა კავშირში მოქცეული სხვა ერების მეფეები, თუ მხედართმთავარნი თუ მათ ოდესმე უთანხმოება ჰქონდათ მეფის რუსეთთან, — რეაქციონერებათაა მონათლული. განა ამაზე უფრო შეიძლება პატარა, თავისუფლების მოყვარული ერის, ეროვნული მეობის უგულებელყოფა? განა გვაქვს ჩვენ რაიმე საფუძველი „სიყვარულითა და მთელი ხალხის მხარდაჭერით“ აღვნიშნოთ წითელი არმიის 47 წლისთავი, როგორც ამას სწერს გაზეთი „კომუნისტი“?

აი კითხვები, რომლებიც დაგვებადა ჩვენ წითელი არმიისა და საბჭოთა საზღვაო ფლოტის 47 წლისთავთან დაკავშირებით.

## საბჭოთა კავშირის საგარეო უმწეობა.

(დასაწყისი იხ. მესამე გვ.)

ერთ მთლიან ფრონტის შესაკრავად, გასამაგრებლად. „იმპერიალიზმის გასანადგურებლად“, არა ვერბალური ბრახაბრუხით და დაქადნებით, არამედ საქმით. მის ვაჟკაცობას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

ს. ჭირაქაძე.

## ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ-“ის ერთი რეცენზიის გამო.

(გადაეცა "რადიოთავისუფლებას" მიერ)

ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულია სარედაქციო რეცენზია, რუსულად გამოცემულ გრიგოლ აბაშიძის ლექსების კრებულზე „გორი ი სკალი“. ამ რეცენზიის გარშემო გესაუბრებით დღეს.

ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ში გამოქვეყნებულ რეცენზიას თუ ვეხებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რეცენზიაში ვპოულობთ მეტად უცნაურ დასკვნებს, რომლებიც ამახინჯებენ და ამრუდებენ, როგორც ქართული პოეზიის არსს, ისე ქართველთა ნაციონალურ ხასიათს.

რედაქცია, ან ანონიმური ავტორი, სწერს: ქართული პოეზიის დამახასიათებელია ბუნებრივი ჭვრეტა...-ეს არ არის ფილოსოფიურობა—არა, ეს არის სირბილე, განწყობილებათა ცვალებადობა, გრძნობიერი ფუძე მსოფლშემეცნებისა, რაც ქართული ხასიათის დამახასიათებელი თვისებებია, ძნელად ეგუება განყენებულ თვისებებს, აზრის სილოგისტურ წყობას. ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მოკლე ლექსი. მასში ლირიული ელემენტი, რომელიც ქართულ ხასიათს გამოხატავს, გადაწონის ობიექტურ სიუჟეტს, მხოლოდ წარმართული ცხოვრებისმოყვარეობა ფარავს აზრის და ნებისყოფის პათოსს-ო“.

როგორც ვხედავთ ამ ანოტაციაში ლაპარაკია არა მარტო გრიგოლ აბაშიძის პოეზიაზე, არამედ საზოგადოთ ქართულ პოეზიაზე და ქართველთა ფსიქოლოგიაზე და მის თვისებებზე. ამ შემთხვევაში გრიგოლ აბაშიძის პოეზია ჩვენ არ გვაინტერესებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის ლექსებს ასეთი განუსჯელობისათვის არავითარი საფუძველი არ მოუცია.

თქმა იმისა, რომ ქართული პოეზიისათვის და ქართული ხასიათისათვის რაღაც აძოფული სირბილე განწყობილებათა ცვალებადობა, აზრისა და ნებისყოფის პათოსის უქონლობაა დამახასიათებელი,—ნიშნავს, რომ რეცენზიის ავტორს ზერელე წარმოდგენაც არა ჰქონია საერთოდ ისტორიაზე,და, კერძოდ, ქართულ საზოგადოებრივი აზრის ისტორიაზე. სწორედ აზრისა და რკინისებური ნებისყოფის წყალობით თავის ისტორიული მტრებისაგან იხსნა თავი საქართველომ. ქართული ხასიათის ეს მხარე არის ასახული შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხ. ნაწარმოებებში. ყველა ესენი იყვნენ არა მარტო პოეტები ვიწრო გაგებით, არამედ პოეტ-მოაზროვნენი უწინარეს ყოვლისა. პეტრე იბერი, იოანე პეტრიწონელი, ეფრემ მცირე, სულხან საბა ორბელიანი და სხვა ქართველი ფილოსოფიური მოაზროვნენი სწორედ თავიანთი სილოგისტური აზროვნების უნარით მათ მსოფლიო თანამედროვეთა მოაზროვნების სიმაღლეზე იდგნენ.

ჩვენს დროში, შალვა ნუცუბიძე, თავისი ფილოსოფიური ნაშრომით, გამოქვეყნებულს გერმანულ ენაზე 1926 წელს „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა„ თავისი ფილოსოფიური აზრის სიღრმით და შეუპოვარი ლოღიკით, არაფრით არ ჩამოუვარდება თანამედროვე აზროვნების მესაჭეთ.

პროფესორ ნუცუბიძეს შრომას გერმანიაში თავის დროზე დასავლეთში ბრწყინვალე წარმატება ერგო. სამწუხაროდ, შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიურ ცდებს ბოლო მოუღო საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელ საქართველოს დაპყრობამ.

„ჟურნალ დრუჟბა ნაროდოვი“-ის რედაქციის განცხადება, რომ ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელია მოკლე ლექსი, სიყალბეა და ამჟღავნებს ქართული პოეზიის ისტორიის უცოდინარობას.

პირიქით, ქართული პოეზიის კორიფეებისათვის დამახასიათებელია ეპიკური აზროვნების ფართო ნიმუშები. ამ ეპიკური აზროვნების შედევრია ვეფხის ტყაოსანი, რომლის ავტორმა გვიანდერძა: „მოშაირე არა ჰქვიან ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. ე. ი. არა მხოლოდ ლირიული ელემენტი განსაზღვრავს დიდ პოეზიასო რუსთაველის ამ ნაკვალევს შემდგომ საუკუნეებში გაჰყვნენ საქართველოს პოეტები, მოაზროვნენი, რომელთა შემოქმედებაში სჭარბობს ეპიკური ნაწარმოებები. ერთი სიტყვით „დრუჟბა ნაროდოვ“-ის ქართული პოეზიის და ფსიქოლოგიის დახასიათება ყალბია და აგებულია უვიცობაზე. მაგრამ ეს რეცენზიის ავტორს სრულიად არ ანთავისუფლებს იმ სავალდებულო მოთხოვნილებისაგან, რომ სანამ კალამს აიღებდეთ ხელში, მანამ საჭიროა გულდასმით და ბეჯითად გაეცნოთ მასალას და მეტი წინდახედულება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ამა თუ იმ ერის მხატვრული შემოქმედების და ნაციონალური ფსიქოლოგიის შეფასებაში. ასეთი რეცენზიები იწერება ქართულ პოეზიაზე და ქართველი ერის ნაციონალურ ხასიათზე; კითხულობენ მას საბჭოთა კავშირის ხალხების წარმომადგენლები; კითხულობენ მას, უთუოდ, საქართველოს მწერლები და ლიტერატურათმცოდნენი; კითხულობენ მას ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვი„-ის მუდმივი თანამშრომლები უსათუოდ ნიჭიერი კრიტიკოსები და მწერლები რევაზ თვარაძე და გიორგი ნატროშვილი, მაგრამ პასუხი ამ რეცენზიაზე არ სჩანს. პასუხი კი უნდა გაეცეს. პასუხი უნდა გასცენ. უპირველეს ყოვლისა. თვით საქართველოს მწერლებმა.

## ქართულ სათვისტომოში.

ტექნიკური მიზეზების გამო, ქართულმა სათვისტომომ 26 მაისის დღესასწაული ივნისის ექვს გადაიხადა.

სასტუმრო რუზველტის ვანდერბილდის დარბაზი მორთული იყო ქართულ-ამერიკული დროშებით.

კრება გაიხსნა ქართულ-ამერიკულ ეროვნული ჰიმნით.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა ნიუ-იორკის შტატის კონტროლიორ არტურ ლევიტმა. როგორც გაზ. „ლონგ აილანდ სტარ“-მა წინასწარ განაცხადა, ლევიტის სიტყვა ეხებოდა ეროვნულსა და პიროვნულ თავისუფლებას. მისი აზრით, საქართველოს განთავისუფლება და მისი დამოუკიდებელ- სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა, თავისთავად იწვევს საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ყველა ერების განთავისუფლებას და აქედან გამომდინარეობს რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა საერთო ინტერესიო.

შემდეგ, სათვისტომოს გამგეობის თხოვნით ილაპარაკა დრ. ო. ზალდასტანიშვილმა. ქართულად სიტყვა წარმოსთქვა სათვისტომოს მდივანმა, ი. მენთეშაშვილმა. (ამ სიტყვებს ჩვენი მკითხველი წინამდებარე ნომრიდან გაეცნობა, რომელსაც მცირედი შემოკლებით ვაქვეყნებთ).

მისალოცი დეპეშების და წერილების წაკითხვის შემდეგ, სიტყვები წარმოსთქვეს, როგორც ჩვენს ბედში მყოფ ერების, ისე ამერიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

დრ .ო. ზალდასტანიშვილის სიტყვაში ის მომენტია საყურადღებო, რომ მას 26 მაისის დღესასწაული წარმოდგენილი აქვს არა, როგორც, მხოლოდ, ისტორიული დატის მოგონება, არამედ, როგორც ბრძოლის მიზანი. არა გუშინდელის დატირება და გლოვა, არამედ ხვალინდელი ბრწყინვალე მომავალი და ამისთვის პრაქტიკული საშუალებების ძებნა.

მივესალმებით ახალგაზრდა მეცნიერის ამ პოზიციას, რომელსაც ფართოდ აქვს კარი გახსნილი ამერიკის საზოგადოებრივობის იმ წრეებში, სადაც დაპყრობილ ერთა საკითხი უნდა დაისვას და გადაწყდეს.

დასასრულს სათვისტომოს გამგეობა დამსწრე საზოგადოებას გაუმასპინძლდა კოკტეილით.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მიუნხენში, გარდაიცვალა ქართული საქმის დიდი მოამაგე, დამსახურებული ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწე:

**პროფესორი მიხეილ წერეთელი**

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ მარტის 9-ს. ნიუ იორკში, გარდაიცვალა

**ვასილ ნაკაშიძე.**

თანაგრძნობასა და სამძიმარს ვუცხადებთ მის ქვრივს, ნათესავებს და მეგობრებს.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ პარიზში გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი იუსტიციის მინისტრი

**რაჟდენ არსენიძე.**

ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ მის მეგობრებს.

**G. A. Press**

114 St. Mark's Place,

Tel.: 473 - 0240

New York 10009, N. Y.

ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზეც.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

*Mr. G. Djakeli*

*535 E. 78 Street,*

*New York, N. Y. 10021*

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

*EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.*

*EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani. W. Ssangulia, Dr. G. Gabriani.*